8. სუპერფინალი

8.1 ოლმპიადის სუპერფინალზე მოწვეულ იქნებიან ის მონაწილეები, რომლებმაც ოლიმპიადის ფინალურ ტურზე მოიპოვეს პირველი ხარისხის დიპლომი.

8.2 სუპერფინალის ჩატარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, ასევე სუპერფინალის ჩატარების თარიღსა და დროს, „კინგსი“ სმს შეტყობინებებით აცნობებს სუპერფინალში გასულ მონაწილეებს, სუპერფინალის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 კალენდრული დღისა.

8.3 სუპერფინალის ტესტი შედგება ძირითადი და დამატებითი დავალებებისაგან.

8.4 გამარჯვებულების გამოვლენა ხდება შემდეგი პრინციპით: პირველ რიგში ყურადღება ექცევა ძირითადი დავალებების შეფასებას. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში, ყურადღება ექცევა პირველი დამატებითი დავალების შეფასებას, აქაც ქულათა დამთხვევის შემთხვევაში განიხილება მეორე დამატებითი დავალება, ხოლო, შემდეგ მესამე. (თუ გამარჯვებული გამოვლინდა ტესტის ძირითადი დავალებების შეფასების მიხედვით, დამატებითი დავალებების შეფასება აღარ განიხილება.)

8.4.1 თუ რამდენიმე მონაწილეს თანაბარი ქულა აქვს როგორც ძირითადი დავალებების სექციაში, ასევე დამატებითი დავალებების ყველა სექციაში, ამ შემტხვევაში განიხილება ოლიმპიადის ფინალური ტურის შეფასება.

8.4.2 ფინალურ ტურშიც ქულათა დამთხვევის შემთხვევაში გაიმართება კიდევ ერთი დამატებითი ტური, თუ ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდნენ გამარჯვებულები, თითოეული მონაწილე გამოცხადდება გამარჯვებულად (შესაბამისი ქულების და ადგილების გათვალისწინებით)

8.5 სუპერფინალის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია შედეგების

გამოქვეყნებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში, წინამდებარე წესდების 7.5,

7.6 და 7.7. მუხლების შესაბამისად

8.6 სუპერფინალის საპრეტენზიო განაცხადები განიხილება განაცხადის

მიღებიდან 1 კალენდრული დღის განმავლობაში.

8.7 სუპერფინალის შედეგები ქვეყნდება სუპერფინალის საპრეტენზიო

განაცხადების განხილვის შემდეგ, 1 სამუშაო დღის განმავლობაში, ვებგვერდზე www.kings.ge, სიახლეებში.

10.სუპერფინალის წესები.

პასუხების გამოქვეყნების ვადა და აპელაცია:

აპელაციები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში

მეილზე: claim@kings.ge

ვადის ამოწურვის შემდეგ შემოსული აპელაციები არ

განიხილება.

სავალდებულო წესები:

• მონაწილე ვალდებულია, საგამოცდო სივრცეს შეუერთდეს დადგენილ დროს

(გამოცდის დაწყების დროს). პროცესის დამკვირვებელი მონაწილეს ელოდება

არაუმეტეს ათი წუთისა. თუ მონაწილე ამ დროის გასვლის შემდეგ კვლავ არ/ვერ

შემოუერთდა საგამოცდო სივრცეს, ჩაითვლება, რომ იგი არ გამოცხადდა ტესტირებაზე.

• მონაწილეს ტესტირების პროცესში ჩართული უნდა იყოს პროგრამა ZOOM-ში (1)

ჩართული უნდა ჰქონდეს ვიდეო-თვალი და (2) მიკროფონი.

• მონაწილე სამუშაო ეკრანზე უნდა ჩანდეს თავისი სახელითა და გვარით. დაუშვებელია

მეტსახელების გამოყენება.

• მოსწავლემ არ უნდა შეამციროს საგამოცდო სამუშაო ეკრანი.

• საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებელმა შეიძლება მოითხოვოს ხმის შემოწმება ან

კამერის ხედვის შეცვლა. ასევე, შესაძლებელია დამკვირვებელმა გააზიაროს თავისი

სამუშაო ეკრანი.

• მონაწილე, რომელიც ტესტის წერის პროცესში გამორთავს კამერას, მიკროფონს ან დატოვებს ზუმს, აქვს 30 წამი, რათა დაუბრუნდეს ოლიმპიადის წესებით გათვალისწინებულ მდგომარეობას, წინააღდეგ შემთხვევაში, ავტომატურად გამოეთიშება საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში დამკვირვებელი იტოვებს უფლებას, მიანიჭოს მონაწილეს სტატუსი - „კონკურსგარეშე“.

• ტესტირების პროცესში დაუშვებელია ხმაური, დამხმარე მასალის, სახელმძღვანელოს ან ჩანაწერის გამოყენება.

დისკვალიფიკაციის წინაპირობა:

მონაწილე ტესტირებიდან მოიხსნება, თუ დაარღვია შემდეგი პირობები: ა) გაითიშა/გამოირთო კამერა ან ხმა 30 წამზე მეტი ხნით;

ბ) დაფიქსირდა კარნახის, სხვებთან საუბრის, ლიტერატურის გამოყენების, რაიმე დამატებითი მასალის მიწოდების შემთხვევა;

გ) დამკვირვებელს არ ეძლევა მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა;

დ) გამოცდის ჩატარების შემდეგ, არაუგვიანეს ერთი დღისა, ჩანაწერის ანალიზით გამოვლინდა დარღვევები.

ტექნიკური ხარვეზები და უკუკავშირი:

თუ მონაწილეს გამოცდის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (დენის, ინტერნეტის გათიშვა), მაშინ იგი ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის დამკვირვებელს ან კომპანიის ცხელ ხაზს, ხოლო 24 საათის განმავლობაში ოფიციალურ მეილზე info@kings.ge აგზავნის განცხადებას აღნიშნულთან დაკავშირებით